

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ახალი ხედვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,
რომელიც დასრულდა 2023
წლის 31 დეკემბერს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი:

• მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის დასრულებული წლისათვის	3
• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
• საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
• შპს ახალი ხედვის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
• ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები	16
შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები	16
შენიშვნა 4 - ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	17
შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
შენიშვნა 6 - მარაგები	17
შენიშვნა 7 - სესხები	17
შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
შენიშვნა 9 - ამონაგები	18
შენიშვნა 10 - სხვა შემოსავალი	18
შენიშვნა 11 - ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	18
შენიშვნა 12 - სხვა ხარჯები	19
შენიშვნა 13 - ფინანსური ხარჯი	19

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ახალი ხედვა
მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	31-12-23	31-12-22
ამონაგები	9	10,931,981	8,724,000
თვითღირებულება		(3,485,573)	(2,966,545)
საერთო მოგება		7,446,408	5,757,455
სხვა შემოსავლები	10	463,384	783,589
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(5,299,427)	(2,980,185)
მიწოდების დანახარჯები		(136,096)	(145,973)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		227	0
სხვა ხარჯები	12	(554,460)	(577,312)
საოპერაციო მოგება		1,920,037	2,837,574
ფინანსური შემოსავალი		2,426	0
ფინანსური ხარჯი	13	(206,975)	(94,976)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(204,549)	(94,976)
მოგება დაბეგვრამდე		1,715,488	2,742,598
მოგების გადასახადი		(83,808)	(80,456)
პერიოდის მოგება		1,631,680	2,662,143

დირექტორი:



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ახალი ხედვა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	31-12-23	31-12-22
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები		7,084	4,282
ძირითადი საშუალებები	3	2,650,320	979,949
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		917,541	386,981
		3,574,945	1,371,211
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	211,079	568,152
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	3,257,475	2,541,327
მარაგები	6	5,435,610	4,777,232
		8,904,165	7,886,711
მთლიანი აქტივები		12,479,109	9,257,922
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		7,923,799	6,731,355
		7,923,799	6,731,355
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	3,126,664	1,658,992
		3,126,664	1,658,992
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,428,647	867,575
საგადასახადო ვალდებულებები		0	0
		1,428,647	867,575
მთლიანი ვალდებულებები		4,555,310	2,526,567
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		12,479,109	9,257,922

დირექტორი:




კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ახალი ხედვა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	4,891,825	4,891,825
პერიოდის სრული შემოსავალი	2,662,143	2,662,143
გაცემული დივიდენდი	(813,437)	(813,437)
სხვა ცვლილება	(9,175)	(9,175)
2022 წლის 31 დეკემბერი	6,731,356	6,731,356
პერიოდის სრული შემოსავალი	1,631,680	1,631,680
გაცემული დივიდენდი	(422,447)	(422,447)
სხვა ცვლილება	(16,789)	(16,789)
2023 წლის 31 დეკემბერი	7,923,799	7,923,799

დირექტორი:




შპს ახალი ხედვის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ახალი ხედვა (შემდეგში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 02 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400029303. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რ-ნი, ესმა ონიანის ქუჩა N17.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული, სამედიცინო და ორთოპედიული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 61%-იანი წილის მფლობელია - გიორგი მონასელიძე (პ/ნ 01003015096), 10%-იანი წილის მფლობელია - მარიამი ბურდული (პ/ნ 01002026935), 29%-იანი წილის მფლობელია - ლალი შეშაბერიძე (პ/ნ 01003013944). კომპანიის დირექტორია - გიორგი მონასელიძე (პ/ნ 01002026935).

შპს ახალი ხედვა წარმოადგენს მშობელ კომპანიას (100%-იანი წილის მფლობელი) და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შვილობილ კომპანიას შპს ჯანმრთელობის ცენტრი ახალი ხედვა-ს (ს/კ 402241953), რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი სამედიცინო პრაქტიკა. საანგარიშგებო პერიოდისთვის შპს ჯანმრთელობის ცენტრი ახალი ხედვა ახორციელებს მშობელი კომპანიისგან კაპიტალში შენატანების განთავსებას სხვა კომპანიაში, რომლის წილის 70% თავის მხრივ ეკუთვნის შპს ჯანმრთელობის ცენტრ ახალ ხედვას. სხვა ოპერაციები შვილობილ კომპანიას ამ ეტაპზე არ უფიქსირდება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდზე დაყრდნობით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს.

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- კომპანიაში მოხდა საბუღალტრო საქმიანობის შესწორება და 2017 წლის 01 იანვრიდან აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის გაცხადებული.

ტერმინთა განმარტება:**ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მის ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორცაა ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები და თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს) და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხით წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	7-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-15

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში,

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მიწოდებიდან ან/და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მიწოდების/მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ტიპის ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას,

რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა, ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	674'430	194'142	165'236	112'891	5'749	1'152'448
შეძენა	0.00	23'289	22'880	219'418	0.00	265'587
გასვლა	-	-	(201)	(137'234)	-	(137'435)
2022 წლის 31 დეკემბერი	674'430	217'431	187'915	195'075	5'749	1'280'599
შეძენა	1'476'678	79'726	196'684	155'889	76'853	1'985'829
გასვლა	-	-	(64'724)	(92'615)	-	(157'339)
2023 წლის 31 დეკემბერი	2'151'108	297'157	319'875	258'348	82'602	3'109'090
დაგროვილი ცვეთა						
2021 წლის 31 დეკემბერი	(89'806)	(39'534)	(58'038)	(37'847)	(958)	(226'183)
წლის ცვეთის ხარჯი	(20'211)	(32'757)	(25'996)	(27'368)	(1'246)	(107'577)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	113	32'996	-	33'109
2022 წლის 31 დეკემბერი	(110'016)	(72'291)	(83'920)	(32'220)	(2'204)	(300'651)
წლის ცვეთის ხარჯი	(47'776)	(44'154)	(30'889)	(57'072)	(1'913)	(181'805)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	197	23'489	-	23'686
2023 წლის 31 დეკემბერი	(157'792)	(116'445)	(114'613)	(65'803)	(4'117)	(458'769)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	584'625	154'608	107'198	75'043	4'791	926'266
2022 წლის 31 დეკემბერი	564'414	145'140	103'994	162'855	3'545	979'949
2023 წლის 31 დეკემბერი	1'993'316	180'712	205'262	192'545	78'485	2'650'320

ცვეთის მეთოდი: წრფივი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 4 - ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,944.30	2,022.98
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	206,301.78	295,169.36
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,833.06	270,960.13
სულ	211,079.14	568,152.47

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,001,355.55	2,344,131.44
მოთხოვნები ბანკებიდან	1,152.40	1,878.62
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	817.05	3,785.00
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	240,789.52	97,239.02
საგადასახადო მოთხოვნები	13,360.47	94,292.81
სულ	3,257,474.99	2,541,326.89

შენიშვნა 6 - მარაგები

	2023	2022
საქონელი	5,419,522.69	4,722,437.36
ნედლეული და მასალები	2,744.27	30,235.28
საწვავი	3,947.03	6,117.50
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	9,396.42	18,441.55
სულ	5,435,610.41	4,777,231.69

შენიშვნა 7 - სესხები

	2023	2022
გრძელვადიანი		-
გრძელვადიანი სესხები ბანკიდან	3,126,663.86	1,658,992.11
	3,126,663.86	1,658,992.11

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1,325,943.56	831,984.76
მიღებული ავანსები	17,062.27	13,019.95
გადახდილი ხელფასები	71,762.38	16,306.80
საპენსიო ვალდებულება	13,878.31	6,263.26
სულ	1,428,646.52	867,574.77

შენიშვნა 9 - ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	11,033,182.12	8,762,902.09
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	(101,201.46)	(38,901.87)
სულ	10,931,980.66	8,724,000.22

შენიშვნა 10 - სხვა შემოსავალი

	2023	2022
არასაოპერაციო მოგება	419,957.02	727,760.25
კონვერტაციის შემოსავალი	550.40	262.21
განსაკუთრებული შემოსავლები	165.00	282.21
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	42,711.83	55,284.15
სულ	463,384.25	783,588.82

შენიშვნა 11 - ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2023	2022
ცვეთა და ამორტიზაცია	182,460.26	108,008.86
ქონების დაზღვევა	21,134.62	14,164.15
შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო	861,628.02	168,411.23
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	11,064.70	19,725.88
შრომის ანაზღაურება	1,779,675.72	1,344,747.44
ჯანმრთელობის დაზღვევა	13,293.17	12,288.77
სოციალური დანარიცხები	64,710.48	37,267.00
საიჯარო ქირა	307,495.10	243,547.75
დაცვის ხარჯი	7,871.25	6,741.75
კომუნიკაციის ხარჯები	32,734.42	25,865.72
კომუნალური ხარჯები	56,269.22	38,561.24
სამივლინებო ხარჯი	28,348.62	15,734.17
რეკლამის ხარჯები	1,265,578.85	171,846.46
მანქანის მიმდინარე რემონტი	100,776.20	96,071.60
კომპიუტერის ხარჯები	14,299.23	7,912.96

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკონსულტაციო ხარჯები	4,534.70	355,726.01
სხვა საგადასახადო ხარჯი	225,330.53	73,085.61
წარმომადგენლობითი ხარჯი	25,698.55	4,392.89
საბანკო მომსახურება	64,450.27	41,824.71
უნიფის მომსახურების საკომისიო	247.50	316.82
საკანცელარიო, სამეურნეო	23,081.22	5,102.93
ფიზ. პირის მომსახურება	89,892.51	43,380.62
სხვა საერთო ხარჯი	106,812.56	132,887.77
სარემონტო მასალები	10,346.38	12,572.32
ოფისის ნივთები	1,692.86	0.00
სულ	5,299,426.94	2,980,184.66

შენიშვნა 12 - სხვა ხარჯები

	2023	2022
არასაოპერაციო ზარალი	492,604.09	534,425.47
კონვერტაციის ხარჯი	17,336.39	359.25
ჯარიმები	0.00	21,864.28
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	44,519.66	20,663.08
სულ	554,460.14	577,312.08

შენიშვნა 13 - ფინანსური ხარჯი

ფინანსური დანახარჯები	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	(2,426.31)	
საპროცენტო ხარჯი	206,975.28	94,975.98
სულ ფინანსური დანახარჯები	204,548.97	94,975.98

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2024 წლის 3 დეკემბერს.

დირექტორი:


